ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №27
2025 წლის 22 დეკემბერი

ქ. ამბროლაური

„ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის – საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 ნოემბრის №20 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის – საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 ნოემბრის №20 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge; 20/11/2017; სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.117.016345) შევიდეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით:

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ზვიადი მხეიძე**

დანართი

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის – საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობა და საშტატო ნუსხა

№	თანამდებობათა დასახელება	რიცხოვნობა	თანამდებობრივი სარგო (ლარი)
	პირველადი სტრუქტურული ერთეული – საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეები	**11**	
1	**ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი**	**2**	
	პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – აპარატის უფროსი	1	3680
	პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე – აპარატის უფროსის მოადგილე	1	3200
2	**პროფესიული საჯარო მოხელეები**	**9**	

1	**რანგირება**	**საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეული – საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება**		
	II რანგი	იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი	1	2880
	III რანგი	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	1920
2		**საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეული – საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილება**		
	II რანგი	საორგანიზაციო განყოფილების უფროსი	1	2880
	III რანგი	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	2080
	IV რანგი	პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	1	1600
3		**საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეული - საკრებულოს აპარატის საზოგადებასთან ურთიერთობის განყოფილება**		
	II რანგი	საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი	1	2880
	III რანგი	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	2080
4		**საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეული - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოების განყოფილება**		
	II რანგი	საქმისწარმოების განყოფილების უფროსი	1	2880
	III რანგი	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	2080